ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: მასწავლებელთა განათლება

მარინა გაბაშვილი

პროექტებით სწავლება და ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების საკითხები დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასები)

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებლის განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: იზაბელა პეტრიაშვილი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ –ის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ნინო გურგენიძე, თსუ–ის დოქტორანტი

,,ახალი სკოლის მოდელი'' პროექტის მენეჯერი

თბილისი

2019

ანოტაცია

თემის აქტუალობა: დღეს ინგლისური ენა მთელს მსოფლიოში საერთაშორისო ენადაა აღიარებული. ის წარმოადგენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის, დიპლომატიის, პოლიტიკის, მეცნიერების, კულტურის, ბიზნესის საკომუნიკაციო საშუალებას. თანდათან იცვლება თაობების შეხედულებები და ინტერესები ინგლისური ენის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით.

განვითარებული ტექნოლოგიის, ახალი ეკონომიკური რეალობისა და გლობალიზაციის პირობებში გაზრდილი ყურადღება ეთმობა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარის შეძენის საკითხს. როგორც პროფესორი შერონ ფრიზენი აღნიშნავს, ,,*დადგა დრო როდესაც ის თუ რა ვიცით იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ ცოდნას სხვადასხვა* კონტექსტში " [შ.ფრიზენი, 2009].

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია თანამედროვე მეთოდების შეტანა და დანერგვა სასწავლო პროცესში. რუტინული გაკვეთილები უინტერესო და მოსაბეზრებელია მოსწავლეთათვის სწავლების დაწყებით საფეხურზე, ამიტომ მასწავლებელმა განსხვავებული სასწავლო მეთოდები უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს, რათა XXI საუკუნის კომპეტენციების გამომუშავებას შეუწყოს ხელი. მოსწავლეებმა უნდა შეეძლონ კრიტიკული აზროვნება, საკუთარი შეხედულებების და ინტერესების არგუმენტირებულად დასაბუთება, შეფასება და დასკვნების გამოტანა.

საინტერესოა რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ საქართველოში. რა დამოკიდებულება გააჩნიათ ქართველ ინგლისური ენის მასწავლებლებს პროექტებით სწავლებაზე და რას სთავაზობენ ისინი მოსწავლეებს, იმისათვის რომ ინგლისური ენის სწავლება მათთვის არა მხოლოდ ენობრივი ასპექტების დასწავლას, არამედ მათ სააზროვნო უნარების განვითარებასა და ამ უნარების პრაქტიკაში გამოყენებას უკავშირდებოდეს.

კვლევის სიახლე მდგომარეობს შემდეგში: უნდა გამოვავლინოთ, რამდენად ხდება პროექტებით სწავლების საშუალებით ინგლისური ენის პრაქტიკაში გამოყენება. საინტერესოა, მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაო არის უბრალოდ თვალსაჩინოებისათვის შექმნილი მასალები თუ ეს არის სივრცე, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ ნასწავლი ლექსიკური მასალა, ენობრივი კონსტრუქციები თუ ცნებები რეალურ სიტუაციებს დაუკავშირონ, შესაბამისად, ინგლისური ენა პრაქტიკულად გამოიყენონ.

კვლევის მიზანია ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების საკითხების კვლევა პროექტებით სწავლების საშუალებით დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასები).

კვლევის ამოცანებია : ლიტერატურის ანალიზი;

კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;

ემპირიული კვლევის ჩატარება;

დასკვნების გამოტანა.

კვლევის საგანს წარმოადგენს პროექტებით სწავლება და ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების საკითხების კვლევა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ინგლისური ენის პრაქტიკულ გამოყენებათან დაკავშირებული პროცესების აღწერა პროექტებით სწავლების საშუალებით.

Marina Gabashvili

"Project Based Learning and Practical Use of English Language Issues at Elementary School (Grades 5-6)"

Annotation

Topicality of the thesis: Nowadays English language is recognized internationally throughout the world. It is the means of trade, diplomacy, policy, science, culture, and business communication between countries. Generations' opinions and interests about English Language learning and teaching are changing.

In developed technology, new economic reality and globalization increased attention is paid to the use of knowledge in practice and the ability to acquire learning skills independently. As Professor Sharon Friesen notes, it`s the time " when what we know is not so important as how we can use this knowledge in different contexts".

That is why it is important to introduce and implement modern methods in the learning process. In the initial stage of teaching English routine lessons are uninteresting and tedious for students. Therefore, teachers should offer different learning methods to students in order to facilitate the development of XXI century competences. Students should be able to think critically, to argue their own opinions and interests, evaluate them and draw conclusions.

It is interesting to know what the situation is in Georgia in this respect. What is the attitude of Georgian English language teachers to project based learning? And what do they offer to their students in order to learn English language not only for learning linguistic aspects, but also for the development of their thinking skills and the use of these skills in practice.

The novelty of the thesis is the following: we need to show how much is the English language being used in practice through projects. It is interesting, the work done by the

students is just materials created for visibility, or this is a space where students can use learnt lexical materials , linguistic structures in practice or to link concepts to real situations.

The aim of the research is to study the practical use of English language through projects at Elementary School (V-VI grades)

Objectives of the research are:

a) processing of secondary information;

b) working out the research methodology;

c) conducting the research;

d) analysis of the research findings and working out recommendations based on relevant conclusions .

The subject of this research is teaching with projects and practical use of English language issues at Elementary School.

The research object is the processes of practical use of the English language through teaching with projects.

სარჩევი

შესავალი 7
თავი1. ინგლისური ენის სწავლების თეორიული მიმოხილვა 13
1.1 ინგლისური ენის აქტუალობა თანამედროვე მსოფლიოში 13
1.2 ინგლისური ენის სწავლება საქართველოში 15
1.3. ინგლისური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე 18
თავი 2. პროექტების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში 22
2.1 პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი მნიშვნელობა 22
2.2 პროექტებით სწავლების ისტორიული მიმოხილვა 27
2.3 პროექტებით სწავლება უცხო ენაში (ინგლისური ენა) 30
2.4 პროექტებით სწავლების ძირითადი მიდგომები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით 36
კვლევითი ნაწილი 41
დასკვნები 61
რეკომენდაციები 64
გამოყენებული ლიტერატურა 68
დანართი #1
დანართი #2
დანართი #3

- *კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა;*
- *პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა;*
- *ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ;*
- *უცხოური ენების სწავლის სურვილი".*

[ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024]

,,ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. ისინი განსაზღვრავს იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებასაც ყველა საგანში შეძენილი ცოდნა უნდა ემსახურებოდეს'' [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024].

1.3. ინგლისური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე

უცხოური ენის ცოდნა ევროპაში ადამიანის კონკურენტუნარიანობის მთავარ ფასეულობადაა მიჩნეული. შესაბამისად, რამდენიმე უცხოური ენის სწავლება ევროპის საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგიულ პროირიტეტს წარმოადგენს. სასკოლო სისტემა, რომელსაც ევროპელთა 65% უცხოური ენის ათვისების მთავარ წყაროდ მიიჩნევს, გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთათვის ენობრივ-საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული სასკოლო რეფორმა სწორედ საერთო მიზანს – უცხოური ენების დაუფლებისათვის საჭირო გარემოს გაუმჯობესებას – ემსახურება.

გასული საუკუნის ბოლოს ევროპის საბჭომ მიიღო გამოწვევა, რომელსაც „ძირითადი კომპეტენციების დახვეწა" ეწოდა. გამოწვევის მთავარ იდეად ყოველი ევროპელი მოსწავლისთვის, დაწყებითი სკოლიდან მოყოლებული, სავალდებულო

სასკოლო განათლების ფარგლებში სულ ცოტა ორი უცხოური ენის სწავლება მიიჩნიეს. ეს ყოველივე დიად მიზანს – საერთო ევროპული ღია, მობილური სივრცის შექმნას ემსახურება.

1996 წელს გერმანიაში, ნიურნბერგში, 22 ქვეყნის ექსპერტთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოური ენების ადრეულ ასაკში სწავლების ზოგადი პრინციპების ერთიან ჩარჩოდ ჩამოყალიბებას. რეკომენდაციების სახით შედგენილი ნიურნბერგის დოკუმენტის მიხედვით ადრეულ ეტაპზე უცხოური ენის სწავლება ხელს უნდა უწყობდეს:

- ,, *მოსწავლისათვის უცხოური ენის შესახებ წარმოდგენის შექმნას;*
- *მოსწავლისათვის თვალსაწიერის გაფართოებას და სამყაროში უკეთ ორიენტირების მიზნით უცხოური კულტურის შემეცნებას;*
- *მოსწავლისათვის უცხოური კულტურისა და მასთან დაკავშირებული სოციალიზაციის ფაქტორების გაცნობას, რითაც მას საკუთარი სოციალიზაცია გაუადვილდება;*
- *საკუთარი და უცხო რეალიების ინტერკულტურულ ჭრილში წარმოჩენას;*
- *მოსწავლის ზოგად განვითარებას როგორც ემოციური, კრეატიული და სოციალური, ისე ენობრივი თვალსაზრისით;*
- *უცხოური ენების მიმართ ინტერესის გაღვივებას და ენის სწავლის პროცესში დადებითი ემოციის გამოწვევას;*
- *მოსწავლის მიერ ისეთი სასწავლო სტრატეგიების ათვისებას, რომლებიც ხელს უწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარის გამომუშავებას*'' [ნიურნბერგის დოკუმენტი, ნიურნბერგის რეკომენდაციები ადრეულ ასაკში უცხოური ენის სწავლებისათვის, 1996].

რაც შეეხება სწავლების მეთოდს , ნიურნბერგის დოკუმენტის მიხედვით, ის უნდა ემსახურებოდეს მოსწავლისთვის კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას, რაც სწავლის მიმართ ხალისიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს; უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის მოთხოვნილებებს, რაც საგაკვეთილო პროცესში მეთოდე-

ბის მრავალფეროვნებას და მონაცვლეობას გულისხმობს; სწავლების პროცესი უნდა გულისხმობდეს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას, რაც გამოიხატება სასწავლო პროცესის ცენტრად არა მასწავლებლის, არამედ მოსწავლის ქცევით (მასწავლებელი უმთავრესად დამკვირვებლის, თანაბარ პირობებში მოთამაშის, მრჩევლის და არა ხელმძღვანელის ფუნქციას უნდა ინარჩუნებდეს.

დაწყებით საფეხურზე უცხო ენის სწავლებისას აქცენტი არა მოსწავლის შეფასებაზე, არამედ მისი მიღწევების დადგენაზე უნდა გაკეთდეს. მიღწევების დადგენა მხოლოდ მოსწავლის ზოგად განვითარებას კი არ უნდა ეხებოდეს, არამედ ითვალისწინებდეს მის გადმოცემის უნარს, კრეატიულობას, სოციალურ ქცევას. მოსწავლე იგებს თავისი მიღწევების შესახებ, რაც მას შემდეგ მოტივაციას მატებს. სწავლობს თვითშეფასებას და თანატოლების შეფასებას; ამ საფეხურზე უმჯობესია ნიშნების წერისგან თავის შეკავება .

რაც შეეხება სასწავლო მასალას, ის უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკობრივ ინტერესებს, გრძნობებს, მის ფანტაზიას, დიდ სიამოვნებას ანიჭებდეს მას ; აგებული უნდა იყოს საბავშვო კულტურისა და ქვეყანათმცოდნეობის ელემენტებზე, რომლებიც უშუალო კავშირში იქნება მის ასაკობრივ ინტერესებთან; ორიენტირებული უნდა იყოს თანაკლასელებთან თანამშრომლობასა და კომუნიკაციაზე, მთავარი აქცენტი მოსმენასა და ლაპარაკზე უნდა იყოს ორიენტირებული, ხოლო კითხვა და წერა დამხმარე ფუნქციას ასრულებდეს; ასევე უნდა ითვალისწინებდეს პარავერბალურ (გამოთქმა, ინტონაცია, სასაუბრო რიტმი და არავერბალურ (მიმიკა, ჟესტიკულაცია) საკომუნიკაციო საშუალებებს.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი ინგლისური ენის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე. არსებითია, რომ ის ახდენდეს თავისი სასწავლო მიზნების დიფერენცირებას. ის უნდა ფლობდეს სამიზნე ენას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტით. გარდა ენობრივი შინაარსისა, მასწავლებელი უნდა ფლობდეს ისეთ პარალინგვისტურ საშუალებებს, როგორებიცაა: მიმიკა, ჟესტიკულაცია, მუსიკალური და საცეკვაო მოძრაობები, თეატრალური და თამაშის ელემენტები. ასევე

მნიშვნელოვანია, რომ გარდა თეორიული ცოდნისა, მას უნდა ჰქონდეს დაწყებით საფეხურზე სწავლების გამოცდილება.

უცხოური ენის სწავლებას სკოლის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზნები აქვს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლების აღმზრდელობითი მიზანია მოზარდის მომზადება მომდევნო - საბაზო საფეხურზე წარმატებული სწავლისათვის. ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს:

- *„მოზარდის გონებრივი და ფსიქო-ემოციური პოტენციალის ამოქმედება და განვითარება (აღქმა, მეხსიერება, ფანტაზია, წარმოსახვა, მრავალგვარი აზროვნება და სხვა);*
- *დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება საკუთარი თავის, სხვების, სწავლის, საგნის, უცხო სამყაროს მიმართ;*
- *სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება, რომელთაგან სწავლის ამ ეტაპზე პრიორიტეტულია ნებისყოფა, ყურადღების მობილიზება, წესების დაცვა და პატივისცემა, სასწავლო ნივთების/საქმიანობის მოწესრიგება, თანამშრომლობა (მუშაობა წყვილად, გუნდურად, ურთიერთდახმარება), შემოქმედებითობა.“* [ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024].

რაც შეეხება უცხოური ენების სწავლების საგანმანათლებლო მიზანს, სწავლის ამ ეტაპზე პრიორიტეტული ადგილი უჭირავს უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველებასა (მოსმენა-ლაპარაკი) და განსხვავებული ენობრივი და კულტურული სამყაროს აღმოჩენას. დაწყებით საფეხურზე სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის ინტერესის სტიმულირება, მოტივაციის გაძლიერება: მოზარდებმა უნდა შეიყვარონ ენის სწავლის პროცესი და თვით უცხოური ენა და კულტურა. სწავლის პროცესში წარუმატებლობის, მარცხის განცდა უნდა გამოირიცხოს. ამისათვის სწავლების მეთოდიკამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ფსიქიკური განვითარების თავისებურებები და გამოიყენოს სწავლების შესატყვისი ხერხები.

თავი 2. პროექტების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში

2.1 პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი მნიშვნელობა

დარგობრივ ლიტერატურაში პროექტირების მეთოდს ხშირად პროექტ-მეთოდს, პროექტ-გაკვეთილს, პროექტით სწავლას, პროექტით მუშაობას, პროექტზე ორიენტირებულ გაკვეთილს, პროექტირების მეთოდს, სასწავლო პროექტს ან პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასაც უწოდებენ. პროექტებით მუშაობას ხშირად ცალკე არ განიხილავენ და მას ჯგუფურ მუშაობას აკუთვნებენ, რადგან პროექტების მომზადება, ძირითადად, ჯგუფებში ხორციელდება. (წეროძე,2012)

პროექტით მუშაობა არის სწავლების სოციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც:

- მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მასწავლებელთან ერთად ერთობლივი დისკუსიებისა და გარკვეული ქმედებების გზით გადაჭრან პრობლემები;
- განსაზღვრონ სწავლების შინაარსი და გაკვეთილის თემა, გაკვეთილის მიზანი და დასახული მიზნების განხორციელების მეთოდები;
- შეიმუშავონ პრობლემები, წარმოადგინონ შედეგები და შეაფასონ ჩატარებული მუშაობა (ე.შავერდაშვილი, ნ.ფიცხელაური, ფ.რამიშვილი, მ.გვასალია, 2014).

პროექტზე მუშაობა სამი ძირითადი ფაზისაგან შედგება:

- მოსწავლეების სასურველ თემაზე პროექტის დაგეგმვა;
- ამ გეგმის რეალიზება;
- მიღებული შედეგების პრეზენტაცი (ე.შავერდაშვილი, ნ.ფიცხელაური, ფ.რამიშვილი, მ.გვასალია, 2014).

პროექტით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. პროექტით სწავლება გულისხმობს სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას სასწავლო

პროცესში. პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის (როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის) კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტებზე მუშაობის პროცესი მოსწავლეს აყენებს აქტიური შემეცნებლის როლში, რომელსაც წამოჭრილ პრობლემებთან გამკლავება უხდება. პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლე აქტიურია, მიმართავს თვითგანათლებას, ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ.

სწავლების დაწყებით საფეხურზე "პროექტზე დაფუძნებული სწავლების“ დანერგვისა და განხორციელების “დოზირება“ და “საზღვრები” საკმაოდ მოქნილია. ზოგიერთ შემთხვევაში პროექტზე მუშაობა შესაძლოა ყოველდღიურად, გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარეობდეს, ზოგჯერ კი კვირაში მხოლოდ ორჯერ შეიძლება განხორციელდეს. ,,პროექტზე დაფუძნებული სწავლება“ არ არის მოწოდებული, რომ “ჩაანაცვლოს” სასწავლო პროგრამა. იგი მის დამატებას, გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს და ხშირად შეთვისებული მასალის განმტკიცება/გავრცობასაც უწყობს ხელს.

,,პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას“ შემდეგი ძირითადი პრინციპები უდევს საფუძვლად:

- *მოსწავლეების ინტერესების, საჭიროებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინება*; (*კავშირი სკოლასა და ცხოვრებას შორის*);
- *მათი წინარე ცოდნის განმტკიცება და ახალი ინფორმაციის მასზე დაშენება*;
- *დისციპლინათაშორისი კავშირების გამოვლენა/ განმტკიცება და ცოდნის გავრცობა კონკრეტული სასწავლო საგნების მიღმა*;
- *ჯგუფური მუშაობა თანამშრომლობაზე დაყრდნობით*;
- *პროექტების სასწავლო მიზნობრიობისა და კონკრეტული შედეგების განსაზღვრა*;
- *სასწავლო პროცესში, ისევე როგორც თემების არჩევისას მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება* (*შესაძლებელია მასწავლებლისა და მოსწავლეების თვალსაზრისის შეჯერება*);

• *მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ხელშეწყობა/ შენარჩუნება* [ნ.დოლიძე, თბილისი 2017, 5-141].

,,პროექტზე დაფუძნებული სწავლება“ ისევე, როგორც სხვა სასწავლო მიდგომები, აქცენტს არა მხოლოდ სწავლებაზე, არამედ სწავლაზე და მის შედეგებზედაც აკეთებს. პროექტები სერიოზულ დაგეგმვას საჭიროებს და შესაძლოა საკმაოდ ხანგრძლივადაც გაგრძელდეს. ეს დამოკიდებულია როგორც დასამუშავებლად შერჩეული თემის სპეციფიკაზე, ასევე მოსწავლთა ინტერესის შენარჩუნებაზე მიმდინარე პროექტთან დაკავშირებით. პროექტზე მუშაობისას ხაზგასმულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა, ისევე როგორც მათი ინტერესები და ურთიერთქმედება საგნებთან, და ზოგადად - გარემოსთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის როლს.

პროექტზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები ხშირად გაორებულები არიან, რადგან იძულებულები არიან მკაცრად მისდიონ სასწავლო პროგრამას და ამ დროს ბავშვების ინტერესები ყურადღების მიღმა რჩება . აქედან გამომდინარე მასწავლებელმ უნდა მოახერხოს წონასწორობის შენარჩუნება ბავშვის ინტერესებზე ყურადღების გამახვილებითა და სასწავლო პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მასწავლე-ბელმა ასევე უნდა მოახერხოს სხვადსხვა სასწავლო სფეროს ერთი თემის გარშემო გაერთიანება. ამ შემთხვევაში დაკმაყოფილდება, როგორც ბავშვების ინტერესები, ისე სასწავლო პროგრამის მოთხოვნებიც.

„პროექტზე დაფუძნებული სწავლებით“ მუშაობისას მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის საკითხი. "პროექტზე დაფუძნებული სწავლებით“ მუშაობისას წამყვანია შინაგანი მოტივაცია, რასაც საფუძვლად თავად ბავშვების ინტერესი უდევს სასწავლო საქმიანობისადმი. თუმცა იმის გამო ,რომ საბაზო ცოდნის მიღება მნიშვნელოვანია, მასწავლებლები ხშირად მიმართავენ გარეგან მოტივაციას, ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ ,როდესაც ძნელდება მოსწავლის ყურადღების მობილიზება.

პროექტზე მუშაობა არ იკავებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის ადგილს. მისი “დოზირება” სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, პროგრამის

მიზნების, მასწავლებლის თვალთახედვისა და გეგმის, ასევე, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე. მას შეიძლება ყოველდღიურად გარკვეული დრო ეთმობოდეს, შესაძლოა კვირის გარკვეულ დღეებში ტარდებოდეს, შესაძლოა გამოყენებულ იქნას, აგრეთვე, შეთვისებული მასალის განმტკიცებისათვის. ჩვეულებრივ, პროექტზე მუშაობის პროცესში ჩაქსოვილია სწორედ პროგრამით გათვალისწინებილი სასწავლო მიზნები, რადგან თავად მიდგომის სპეციფიკა ამისათვის კარგ ნიადაგს ქმნის.

პროექტზე მუშაობამ/თემის სიღრმისეულმა დამუშავებამ უნდა:

- გააერთიანოს ბავშვების ჯგუფი საერთო ინტერესების გარშემო;
- შექმნას პირობები თანამშრომლობითი სწავლისათვის;
- მოიცვას ყველა სასწავლო სფერო;
- შეუწყოს ხელი საკითხის სიღრმისეულ შესწავლას (წეროძე ა. 2013).

როგორც აღნიშნული მიდგომის ექსპერტები და პრაქტიკოსი პედაგოგები აღნიშნავენ, თუკი სასწავლო პროცესი სათანადოდაა წარმართული:

- მოსწავლეები ჩვეულებრივ მეტ ინფორმაციასაც იღებენ ვიდრე სტანდარტული სასწავლო პროგრამითაა გათვალისწინებული ;
- ცალკეულ სასწავლო სფეროებს ერთმანეთთან, ხოლო შეძენილ ცოდნას რეალურ ცხოვრებასთან აკავშირებენ;
- მოსწავლეებს უვითარდებათ დასკვნების გაკეთების, პრობლემების გადაწყვეტის უნარი ;
- მეტი ინტერესით სწავლობენ ;
- სასწავლო პროცესი უფრო სახალისო და პროდუქტიულია ;
- ხელს უწყობს საკითხის ფართო და სიღრმისეულ შესწავლას;
- უვითარდებათ შემოქმედებითი უნარი;
- იძენენ დამოუკიდებლობას;
- აკეთებენ არჩევანს;
- უვითარდებათ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები;
- ვითარდებიან (აზროვნების, მეტყველების, სოციალური, ემოციური და ფიზიკური თვალსაზრისით).

როდესაც მასწავლებელი თემას შეარჩევს, მან უნდა ჩამოაყალიბოს იდეები, მოსაზრებები სასწავლო პროექტის შინაარსთან დაკავშირებით, გადაწყვიტოს, როგორ შეუხამოს ის სასწავლო პროგრამის მიზნებს, განსაზღვროს თუ რა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე გაამახვილებს დაიწყოს თემის შესასწავლად საჭირო მასალის შეგროვება, განსაზღვროს, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს თემაზე მუშაობა.

ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეთვისება, ისევე როგორც შეთვისებულის გადმოცემა მოსწავლეების მიერ სხვადასხვა სახით შეიძლება: მათი ნახატებით და სხვა ნიმუშებით, მაგალითად, მასწავლებლის დახმარებით შექმნილი კოლაჟებით ხელოვნების ცენტრში, დრამატულ წრეში ინსცენირებით, სიტყვიერი გადმოცემით, წიგნების გაკეთებით წიგნიერების ცენტრში, მოთხრობებითა და ლექსებით, კონსტრუქციების აგებით ,მოდელებისა და მაკეტების გაკეთებით, გრაფების/ცხრილების შედგენით და ა.შ.

პროექტის ფარგლებში მასწავლებლები აწყობენ, აგრეთვე, გასვლით ღონისძიებებს/მეცადინეობებს თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროექტის ბოლოს, გარდა შეჯამებისა და შეფასებისა, ბავშვები და მასწავლებლები ხშირად აწყობენ საჩვენებელ ღონისძიებებს მშობლებისათვის, სხვა ჯგუფების ბავშვებისა და მასწავლებლებისათვის - ბავშვების მიერ პროექტის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენას, ინსცენირებას, ხანდახან საბავშვო ვიქტორინებსა და "კონფერენციებსაც," რითაც უზიარებენ სხვებს, თუ რა ისწავლეს და შექმნეს.

ვფიქრობ, შესაძლებელია ვთქვათ, რომ პროექტებით სწავლება იძლევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საფუძვლებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოხდება პროცესის სწორად დაგეგმვა და წარმართვა. უნდა გვახსოვდეს, რომ პროექტებით სწავლების პირველადი მიზანია მოსწავლეების მიერ შესწავლილი თეორიული საკითხების პრაქტიკაში გამოყენება და 21-ე საუკუნის კომპეტენციების გამომუშავება. მთლიანობაში პროექტის მეთოდი ფლობს მოსწავლეთა განვითარების მაღალ პოტენციალურ შესაძლებლობებს სწავლების აღმზრდელობითი და ფსიქოლოგიური მიმართულებით.

2.2 პროექტებით სწავლების ისტორიული მიმოხილვა

პროექტებით სწავლების მეთოდს დიდი ხნის ისტორია აქვს. უახლოესი გამოკვლევების მიხედვით პროექტით მუშაობის მეთოდი XIX საუკუნეში არც ამერიკის შეერთებულ შტატებში და არც გერმანიაში არ შექმნილა. პროექტის ცნება პირველად XVI საუკუნეში,იტალიაში და კერძოდ არქიტექტურის ფაკულტეტზე, საფრანგეთში კი XVIII საუკუნის დასაწყისში გვხვდება. არქიტექტურის აკადემიებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გავრცელებული იყო სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის პროექტით მუშაობის მეთოდიც. პროექტი გულისხმობდა ფართო მოცულობის სამუშაოებს,რომლებიც სტუდენტებს უნდა შეესრულებინათ. ეს იყო სხვადასხვა ნაგებობების (შადრევანი, ეკლესია, სასახლე) ესკიზები და ქუჩების, ხიდებისა და ა.შ გეგმები. უმაღლესი სასწავლებლებისგან სტუდენტებს მოეთხოვებოდათ ფანტაზია და სამუშაოსადმი დამოუკიდებელი და ორიგინალური მიდგომა.

XIX საუკუნის სამოციან წლებში პროექტის ცნება ამერიკულ პედაგოგიკაში მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დამაარსებელმა უილიამ როჯერსმა შეიტანა. შემდგომში პროექტის გაგების ორი ვარიანტი ჩამოყალიბდა: სოციალურ-კონსერვატიულ-ტექნოლოგიური და სოციალურ-რეფორმირებულ-პოლიტიკური. ეს უკანასკნელი ხაზს უსვამდა პროექტისადმი ხელოსნურ მიდგომას და გზას უხსნიდა პრაქტიკული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს სოციალური და ეკონომიკური წინსვლისკენ (ა.წეროძე, პროექტით მუშაობის როლი უცხო ენის გაკვეთილზე სკოლის მესამე საფეხურსა და უმაღლეს სასწავლებელში, 2011, 5-160).

აქედან გამომდინარე პროექტებით სწავლა არის რომელიმე კონკრეტული საზოგადოების დღის წესრიგი. პროექტებით სწავლება მიმართული უნდა იყოს საზოგადოების და სახელმწიფოს მოთხოვნილებებისაკენ.

ჯონ დიუის სახელს უკავშირდება მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ჩრდილო-ამერიკაში გავრცელებული ე.წ. ,,პროგრესული განათლების "მოძრაობა (progressive education), რომელმაც შემდგომ ევროპის რეფორმის პედაგოგიკაშიც მოიკიდა ფეხი. 1916 წლიდან ჯონ დიუი ხშირად გამოთქვამდა საკუთარ თვალსაზრისს პროექტის

მეთოდთან დაკავშირებით. დიუის იდეები საკმაოდ სწრაფად გავრცელდა. დიუიმ პროექტებით მუშაობის საკუთარი თეორია შექმნა. თავის ნაშრომებში დიუი ხაზს უსვამს ,,პრობლემით სწავლას " და არა „პროექტით სწავლას". პრობლემაზე მუშაობის მეთოდი წარმოადგენდა გაკვეთილის კონცეპტუალურ საფუძველს დიუის ლაბორატორიულ სკოლებში. ამ სკოლებში გაკვეთილები იმ აქტივობებს მოიცავდა ,რომლებიც სოციალური ცხოვრებისთვის იყო დამახასიათებელი. დიუისთვის მნიშვნელოვანი იყო კონკრეტული გამოცდილება და პრობლემები ,რომლებსაც მოსწავლეები სკოლის გარეთ არსებულ რეალობაში იყენებდნენ და რომლებიც მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა.

დიუი მოსწავლეთა პრობლემებს მათ გამოცდილებას უკავშირებს და შემდეგ ასპექტებს გამოყოფს:

- რამდენად რეალურია პრობლემა ? ან რამდენად გაითავისებს მოსწავლე პრობლემას? ხომ არ არის ის თავსმოხვეული მასწავლებლის მხრიდან?
- რამდენად აქტუალურია და მნიშვნელოვანია პრობლემა მოსწავლისათვის ? თუ მას მხოლოდ მასწავლებელი და არსებული სახელმძღვანელო განსაზღვრავს ? მონაწილეობს მოსწავლე განსახილველი საკითხის შერჩევაში?

დიუის აზრით შესწავლილი მასალა ხშირად ხელოვნური და მოსწავლეთათვის არაბუნებრივია,რომელსაც მხოლოდ გამოცდაზე თუ გამოიყენებს. თეორიული ცოდნა და პრაქტიკა, სწავლის შინაარსობრივი მხარე და ცხოვრება ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან მხოლოდ ამ გზით წარმოიქმნება ბავშვის ,,აზროვნებით მიღებული გამოცდილება." (ჯ.დიუი 1964)

პრობლემისა და თემების დასამუშავებლად დიუის მიხედვით , მოსწავლე მეცნიერულად უნდა მიუდგეს თავის საქმეს და აზროვნების 5 ცნობილი საფეხური გაიაროს:

- პრობლემის სირთულის განცდა;
- პრობლემის დაკონკრეტება;
- გეგმის შემუშავება ;

- გეგმის გააზრება;
- პრობლემის გადაჭრა .

დიუი გამოყოფს ოთხ კრიტერიუმს,რომელსაც ყველა პროექტი უნდა შეიცავდეს:

- პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ინტერესებს, ანუ ის უნდა შეესაბამებოდეს მათ მოთხოვნებსა და გამოცდილებას;
- პროექტი მოსწავლეთა თვალთახედვითაც მნიშვნელოვანი და გამოსადეგი უნდა იყოს;
- პროექტი კომპლექსური უნდა იყოს.ის არა მხოლოდ ხელოსნურ სამუშაოს უნდა მოიცავდეს ,არამედ პროექტზე მუშაობისას მოსწავლემ შემეცნებითი ცოდნაც უნდა მიიღოს;
- პროექტი უნდა იყოს უწყვეტი ის გარკვეული დროის მონაკვეთს უნდა მოიცავდეს და შემდგომ ბუნებრივად უნდა ერწყმოდეს მომდევნო სასწავლო თემას (ჯ. დიუი, 1916).

პედაგოგიკის ფილოსოფოსი და დიუის მოსწავლე უილიამ ჰარდ კილპატრიკი 1918 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,პროექტის მეთოდი“ პროექტით მუშაობის მეთოდის ახალ დეფინიციას გვთავაზობს. იგი პროექტს განმარტავს როგორც წინასწარგანსაზღვრულ ქმედებას,რომელიც მთელი ძალისხმევით სრულდება სოციალურ გარემოში. კილპატრიკის მიხედვით პროექტ-გაკვეთილი ოთხ ფაზას მოიცავდა :

- განზრახვა;
- დაგეგმვა;
- განხორციელება;
- შეფასება.

კილპატრიკის მიხედვით პროექტი ედეალურად იმ შემთხვევაშია განხორციე-ლებული თუ ეს ოთხივე ფაზა იქნება სისრულეში მოყვანილი. მისი აზრით პროექტის შეფასების ინიციატორები არა მასწავლებლები ,არამედ მოსწავლეები უნდა იყვნენ დ მათ ქმედების თავისუფლება უნდა ჰქონდეთ. ისინი საბოლოოდ თავდაჯერებულობას

და გადაწყვეტილების მიღების უნარს შეიძენენ. ამ თვისებებს კი კილპატრიკი არსებობისა და ზრდა - განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორებად მიიჩნევდა (William Kilpatrick: The Project Method, 1918).

2.3 პროექტებით სწავლება უცხო ენაში (ინგლისური ენა)

პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning) არის მეთოდი, რომელიც სრულიად განსხვავებულია ტრადიციული სწავლების მეთოდისგან. ის ავითარებს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარებს, კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის უნარს და ა. შ. მისი გამოყენება ნებისმიერი საგნის სწავლების დროს ქმნის საინტერესო სასწავლო გარემოს მოსწავლეებისთვის. პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი გულისხმობს კეთებით სწავლას, რაც ეხმარება მოსწავლეებს აქტიურად იყვნენ სწავლის პროცესში ჩართულნი.

უცხო ენის სწავლებისას მასწავლებელმა უნდა განუვითაროს მოსწავლეებს კითხვის (Reading), წერის (Writing), მოსმენის (Listening), ლაპარაკის (Speaking) უნარები, რათა მოსწავლემ შეძლოს ენის სრულყოფილად გამოყენება. ამ უნარების განვითარება პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას უფრო საინტერესო და ნაკლებად მტკივნეულია მოსწავლეებისათვის, რადგან მოგეხსენებათ, უცხო ენის შესწავლა ბევრ სირთულეს-თანაა დაკავშირებული.

სასწავლო პროცესში პროექტების ჩართვა გულისხმობს მოსწავლეთა საგნისადმი ინტერესის გაზრდას, ეს განსაკუთრებით შედეგიანია უცხო ენაში, რადგან უცხო ენის სწავლების შემთხვევაში მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო უნარ -ჩვევების განვითარება და ენის პრაქტიკაში სრულფასოვნად გამოყენება. მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში უჭირთ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია და ინტერაქციაში ჩართვა. აქედან გამომდინარე პროექტებით სწავლება არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, რომლის განხორციელების შედეგად ინგლისური ენის გაკვეთილები ბევრად საინტერესო ხდება მოსწავლეებისათვის. პროექტების გამოყენება უცხო ენის სწავლების პროცესში გვაძლევს საშუალებას მოსწავლეებს შევთავაზოთ მრავალფეროვანი აქტივობები,

რომლებიც ორიენტირებული იქნება ნასწავლი თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებაზე.

პროექტებში ჩართულობით მოსწავლეებს უვითარდებათ ჯგუფური მუშაობის, კვლევითი, პრობლემის გადაჭრის უნარები. პროექტებზე მუშაობისას მოსწავლეებს უმდიდრდებათ ლექსიკური მარაგი, ამასთანავე უყალიბდებათ და უვითარდებათ პრეზენტაციის წარმართვის უნარი უცხო ენაზე (ინგლისურ ენაზე). პროექტებით სწავლება იძლევა მიზანმიმართული სწავლების საშუალებას და ამასთანავე ზრდის მოსწავლეთა ინტერესს საგნის მიმართ (ინგლისური ენის).

პროექტებით სწავლება უცხო ენაში არა მხოლოდ ხელს უწყობს მოსწავლეებს უცხო ენის უკეთ სწავლაში, არამედ ინტერდისციპლინალური სწავლების დამკვიდრების და განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი საშუალებაა. უცხო ენის და სხვა ნებისმიერი საგნის ინტეგრირება კი პირდაპირ კავშირშია ენის პრაქტიკულ გამოყენებასთან. მოსწავლეები გაცილებით შემოქმედებითად უდგებიან სასწავლო პროექტის შესრულებას და უფრო მოტივირებულები არიან. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ინგლისური ენის და ხელოვნების ინტეგრირებული პროექტი, სადაც მოსწავლეები წარმოადგენენ სპექტაკლს ინგლისურად. იმის გათვალისწინებით, რომ დაწყებით საფეხურზე სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის ინტერესის სტიმულირება, მოტივაციის გაძლიერება,ინტეგრირებული პროექტები,რომელიც გულისხმობს ინგლისური ენის და სხვა რომელიმე დისციპლინის კომბინაციას მოზარდებს ნამდვილად შეაყვარებს ენის სწავლის პროცესს და თვით უცხოური ენასა და კულტურას.

პროექტების გამოყენება უცხო ენაში ხელს უწყობს კომუნიკაციურ-ენობრივი უნარების უკეთ დაუფლებას. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა კომპლექსური ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში, ასეთი დავალებები კი მეთოდურად პირდაპირ უწყობს ხელს კომუნიკაციურ-ენობრივი უნარების განვითარებას და განმტკიცებას, რადგან მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა ენობრივ თუ კომუნიკაციურ აქტივობებში მიღებული გამოცდილების განსხვავებულ სიტუაციაში გადატანა.

უცხოური ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია შემოქმედებითობის შემოტანა სასწავლო პროცესში, რაც მხოლოდ სახელმძღვანელოზე მუშაობით ან გრამატიკული და წერითი აქტივობების განხორციელებით რთული მისაღწევია. განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელ კლასებში, სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივირებულობის და ინტერესის გაღრმავება. ეს ყოველივე კი ენის პრაქტიკულ გამოყენებას ნაკლებად უწყობს ხელს, მოსწავლეები ნასწავლ გამოცდილებას და წინარე ცოდნას პრაქტიკაში ვერ იყენებენ. შემოქმედებითად წარმართული სასწავლო პროეტებით სწავლება მოსწავლეს საშუალებას აძლევს, რომ უცხოური ენის დახმარებით შექმნას საკუთარი პროდუქტი, რომელიც ენის პრაქტიკაში გამოყენებას ეფუძნება.

სასწავლო პროექტების პირველადი მიზანი უცხო ენის სწავლების დროს არის ენის პრაქტიკაში გამოყენება. საინტერესო იქნება ისეთი პროექტების მეტი ინტენსივობით განხორციელება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეების ურთიერთობას უცხოელ ტურისტებთან, ამ შემთხვევაში მათ მეტად მოუწევთ ენის პრაქტიკაში გამოყენება, სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შედეგად, როგორიც არის მაგალითად ექსკურსიების მოწყობა ინგლისურენოვანი ტურისტებისათვის და მათთან მოსწავლეების კომუნიკაცია. ტურისტები დაათვალიერებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს და მოისმენენ მოსწავლეთა მიერ მომზადებულ ინფორმაციას ინგლისურ ენაზე. ექსკურსიის ბოლოს მოსწავლეები პრეზენტაციის სახით მოაწყობენ პრეზენტაციებს, სადაც წარადგენენ ექსკურსიის შედეგებს. განხორციელებული აქტივობების შედეგად მოსწავლეები გამოიყენებენ ინგლისურ ენას პრაქტიკაში და გამოუმუშავდებათ საჭირო ენობრივი უნარ-ჩვევები.

შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელსაც ინგლისური ენის მასწავლებლებმა პროექტის მსვლელობის პროცესში შეიძლება მიმართონ არის, ინტერვიუს აღება უცხოელებისაგან, რაც მოსწავლეთა მიერ უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენების ერთერთი საუკეთესო საშუალებაა. მოსწავლეებს შეუძლიათ აიღონ ინტერვიუები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებისაგან მათთვის სასურველ თემატიკაზე. პროექტის ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები გამოიყენებენ ენას პრაქტიკაში და გაიფართო-

ვებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას. ამის გარდა, მოსწავლეებს მსგავსი აქტივობით გამოუმუშავდებათ ინტერვიუს აღების უნარი-ჩვევები.

სასწავლო პროექტების გამოყენება უცხო ენაში ასევე გულისხმობს მოსწავლეთა შემოქმედებითობისა და კრეატიულობის უნარის გაუმჯობესებას. ამ ყოველივეს მიღწევა კი შესაძლებელია ისეთი პროექტების განხორციელებით, როგორიც არის ლიტერატურული საღამოების წარმართვა უცხო ენაზე. მასწავლებლებს შეუძლიათ დროდადრო მოაწყონ ლიტერატურული საღამოები სკოლაში ან სკოლის გარეთ, სადაც მოსწავლეები იმსჯელებენ რომელიმე კონკრეტულ ნაწარმოებზე. მასწავლებელს შეუძლია ისეთი დამატებითი აქტივობებიც შესთავაზოს მოსწავლეებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ გამოთქვან საკუთარი აზრი და ხედვა ნაწამოების შესახებ. მნიშვნელოვანია ისეთი ლიტერატურული ნაწარმოები შეირჩეს, რომელიც გაითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და მათ ასაკზე იქნება გათვლილი, რათა მოსწავლეები მეტად აქტიურები და მოტივირებული იყვნენ. მსგავსი პროექტის შედეგად მოსწავლეები განივითარებენ საჭირო ენობრივი უნარებს, ასევე მსჯელობის, ანალიზის და საკუთარი თვალთახედვის დასაბუთების უნარებს, რაც შესანიშნავი საშუალებაა ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენებისათვის.

სასწავლო პროექტის ფარგლებში ინგლისურ ენაზე სპექტაკლების წარმოდგენა ენის პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მნიშვნელოვანია,რომ სპეკტაკლის თემატიკის შერჩევა მოხდეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სპექტაკლის დადგმა უზრუნველყოფს ისეთი მიზნების მიღწევას, როგორიც არის ენობრივი კომპეტენციის განვითარება, ასევე შემოქმედებითობისა და საკუთარი ფანტაზიის გამოხატვა. მსგავსი სასწავლო პროექტით მოსწავლეები შესანიშნავად გამოიყენებენ უცხო ენას პრაქტიკაში.

ნებისმიერი სასწავლო პროექტი უცხო ენის სწავლების პროცესში მასწავლებლისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სწორად შერჩეული აქტივობებითა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლებელია უცხო ენის შესწავლა გაცილებით საინტერესო და კრეატიული გავხადოთ სასწავლო პროექტების ფარგლებში. დამოუკიდებელი და პრაქტიკაზე ორიენტირებული უცხო ენის სასწავლო

პროექტების საშუალებით მოსწავლეებს შეუძლიან შეითვისონ ინტერაქციის და კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები. ისინი კონკრეტული პროექტიდან სხვადასხვა პრაქტიკულ ცოდნას ითვისებენ და იძენენ და აუმჯობესებენ ენობრივ კომპეტენციას ინგლისურ ენაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ბრიტანეთის საკონსულოს ერთობლივი ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის შეიქმნა სახელმძღვანელო ,,პროექტებზე დაფუძნებული სწავლება''. არსებული სახელმძღვანელოს მიხედვით უცხო ენაში პროექტით სწავლების განხორციელება უნდა მოხდეს შესაბამისი საფეხურების მიხედვით, რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას ორგანიზებულად წარმართოს პროექტის მსვლელობა. ეს საფეხურებია:

- პროექტის მსვლელობის პირველი საფეხური არის მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძება და დაფიქრება პროექტის ძირითადად თემზე. პროექტზე დაფუძნებული სწავლების გაკვეთილები ეფუძნება მთავარ/წარმმართველ შეკითხვას ან პრობლემას. ეს ის კითხვებია, რომლებიც წამოსულია მოსწავლეებისაგან. როდესაც მოსწავლეები სვამენ შეკითხვებს, ეს აჩვენებს ,რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები. პროექტის დასაწყისში ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ კონკრეტული ღონისძიება, რომელიც სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს;
- მეორე საფეხური გულისხმობს ძირითადი შეკითხვისა და თემის /პრობლემის წარმოდგენას მოსწავლეთათვის, რომელიც პროექტის მსვლელობას წარმართავს;
- პროექტის გეგმის შემუშავება;
- პროექტის მსვლელობის კალენდრის შემუშავება;
- მოსწავლეთა ჯგუფებში განაწილება;

პროექტის ძირითადი თემის კვლევა. ეს საფეხური შეიძლება მოიცავდეს მოსწავლეების მიერ განსახორციელებელ შემდეგ აქტივობებს: ინტერვიუს ჩატარებას, ანგარიშის მომზადებას, ინტერნეტ-კვლევის ჩატარებას, ლიტერატურის მიმოხილვას ,დოკუმენტური მასალის ყურებას და სხვა;

- საბოლოო პროდუქტის შექმნა;

- მასწავლებლის მიერ მონიტორინგის წარმართვა;
- პროექტის შეფასება, რომელსაც უნდა ჰქონდეს ოთხი ძირითადი განზომილება: სტუდენტთა თვით-შეფასება, სტუდენტთა წყვილებში შეფასება, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შეფასება (Guide book for teachers and teacher trainers, Project Based Learning, British Council, 2019)

როგორც ჩანს, უცხო ენის შესწავლისას პროექტების გამოყენებას გარკვეული როლი აკისრია. მნიშვნელოვანია, რომ პროექტით მუშაობის მეთოდი ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში დაინერგოს უფრო მეტი ინტენსივობით, როგორც უცხო ენის შესწავლის ერთ-ერთი მიზანმიმართული და დამატებითი ფორმა, რომელიც მიმართული იქნება ენის პრაქტიკულ გამოყენებაზე.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის სიახლეები ,რაც მიმდინარეობს პროექტებით სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით საქართველოში 2019 წელს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ბრიტანეთის საბჭოსთან და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები,რაც გულისხმობდა ინგლისური ენის მასწავლებელთა გადამზადებას პროექტებზე დაფუძნებული სწავლების კუთხით, ასევე შემუშავდა სატრენინგო კურსი, გადამზადდა 30 ტრენერი, შეიქმნა სახელმძღვანელო ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით და ჩატარდა კონკურსები. ვფიქრობ, საჭიროა მსგავსი პროგრამის გაგრძელება, რადგან ხარისხიანად განხორციელებული სასწავლო პროექტები ინგლისური ენის სწავლა-სწავლების პროცესში ერთ-ერთი ეფექტური გზაა თანამედროვე განათლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად,რაც გულისხმობს ინგლისური ენის პრაქტიკაში გამოყენებას და 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას.

2.4 პროექტებით სწავლების ძირითადი მიდგომები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია ცამეტი გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენცია, რომელთა ფლობასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისთვის. მასწავლებლის ვალია დაეხმაროს მოსწავლეს ერთ კონკრეტულ საგანში შეძენილი ცოდნა-გამოცდილება გადაიტანოს და გამოიყენოს სხვა შინაარსობრივ კონტექსტშიც. მოცემული კომპეტენციებიდან *„შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, დაინახოს საგანი, მოვლენა ახალი კუთხით; არ შემოიფარგლოს ფაქტების კონსტატაციით, ეძებოს მოვლენის მიზეზები და შესაძლო პასუხებიც განსაზღვროს. ამგვარი აზროვნების მქონე ადამიანს შეუძლია: ორიენტირება ახალი ინფორმაციის ას შექმნა. აქვს განვითარებული წარმოსახვა და განსხვავებულის მრავალფეროვანი ინტერპრეტირების უნარი.“* [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2004]

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით საფეხურზე ყველაზე მნიშვნელოვანი, სწავლების რამდენიმე ასპექტის განვითარებაა: მოსწავლეში სწავლისადმი ინტერესისა და მოტივაციის გაღვივება, უფრო კონკრეტულად კი ენის სწავლების ჭრილში, მარტივი საკომუნიკაციო უნარების გავითარება და კონკრეტული ენისთვის დამახასიათებელი სოციო-კულტურული თავისებურებების გაცნობა.

ამჟამად ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უცხო ენის სწავლება შვიდი მიმართულებით იყოფა, ესენია: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი, უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენება. უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება უკავშირდება ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას როგრიც არის კომპლექსური ხასიათის ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში. მეთოდური თვალსაზრისით, ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს კომუნიკაციურ-ენობრივი უნარების უკეთ დაუფლებას,

რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ ენობრივ თუ კომუნიკაციურ აქტივობებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებულ სიტუაციაში გადატანა. ამ მიმართულებაში შედის პროექტის განხორციელებაც.

ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე, დაწყებით საფეხურზე ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელდება ენის პრაქტიკაში გამოყენება.

რას მოიაზრებს უფრო კონკრეტულად უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენება? ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ამ ყოველივეზე შემდეგ განმარტებას ვკითხულობთ: მოსწავლე უცხოურ ენაზე განახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტს (მაგალითად: ზეიმის მოწყობა, ზღაპრის დადგმა, გენეალოგიური ხის შედგენა, კატალოგის შექმნა-წარმოდგენა, კულინარიული რეცეპტების კრებულის შედგენა, სკოლის მოსწავლეთა ნახატების /ნაკეთობების სკოლის ვებ-გვერდზე განთავსება, გამოფენის მოწყობა და ტურისტული ბროშურის შექმნა უცხოელებისათვის და სხვა) (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024).

იმისათვის რომ მოსწავლეები იყენებდნენ ინგლისურ ენას პრაქტიკაში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მათ უნდა შეეძლოთ უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელება. პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა პროექტის შინაარსი შეარჩიოს მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. დაწყებით საფეხურზე მასწავლებელმა შეიძლება განახორციელოს ისეთი სახის პროექტები, როგორიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა გაწერილი, მაგალითად:

- ,,ნახატების და ნაკეთობების გამოფენა და ვებ -გვერდზე განთავსება უცხოენოვანი მოსწავლეების საყურადღებოდ;
- სპექტაკლის /ზღაპრის დადგმა;
- უცხოური სამზარეულოს სხვებისთვის გაცნობა;
- გენეალოგიური ხის შედგენა;
- კატალოგის შექმნა და წარმოდგენა;

- მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ შეადგინონ კულინარიული რეცეპტების კრებულები, შექმნან ტურისტული ბროშურები უცხოელებისათვის და სკოლის ვებ-გვერდზე განათავსონ;
- ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი სახის პროექტები, რომლებიც გულისხმობს დამეგობრებას მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის თანატოლთან, რომელიც იმავე ენას სწავლობს;
- ამასთანავე შეხვედრების მოწყობა იმავე ქალაქში ან რეგიონში მცხოვრებ და მოღვაწე უცხოურენოვანებთან და სხვა [ესგ , 2018-2024].

თუმცა მნიშვნელოვანია აქვე ავღნიშნოთ, რომ მასწავლებელმა პროექტის შინაარსი უნდა შეარჩიოს მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე და სასწავლო პროექტის საბოლოო პროდუქტი უნდა იყოს ენის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. თითოეული ზემოთ მოხსენიებული პროექტი, რომელსაც მასწავლებელი განახორციელებს ინგლისური ენის გაკვეთილზე უნდა ავითარებდეს 21-ე საუკუნის კომპეტენციებს და უნდა იყოს ორიენტირებული თითოეულ მოსწავლეზე.

უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება უკავშირდება ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას როგორიც არის კომპლექსური ხასიათის ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში. მეთოდური თვალსაზრისით, ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს კომუნიკაციურ-ენობრივი უნარების უკეთ დაუფლებას, რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ ენობრივ თუ კომუნიკაციურ აქტივობებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებულ სიტუაციაში გადატანა. ამ მიმართულებაში შედის პროექტის განხორციელება .

სასწავლო პროცესში მოსწავლეები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად განახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს ასაკისათვის შესაფერის თემატიკაზე. პროექტის განხორციელება მოსწავლეს საშუალებას მისცემს, შინაარსიან კონტექსტში ინტეგრირებულად გამოიყენოს და საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს შეძენილი ენობრივი ცოდნა და უნარები. გარდა ამისა, მოსწავლე შეიძენს კომპლექსური, მრავალეტაპიანი სამუშაოს დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე ჯგუფური მუშაობის საწყის უნარ-ჩვევებს. პროექტების განხორციელებისას მთავარი ღირებულება პროდუქტის შექმნის პროცესს

აქვს, სადაც მოსწავლეებს უვითარდებათ სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევები და არა მიღებულ პროდუქტს. ასეთი სახის სამუშაო მოსწავლეებს შესძენს და განუმტკიცებს ცოდნასა და უნარებს, ჩამოუყალიბებს დამოკიდებულებებს.

პროექტებით სწავლებამ უნდა განავრცოს ეროვნული სასწავლო გეგმით მოცემული თემები. ამ შემთხვევაში მასწავლებელს როლი არის ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან მან უნდა მოახერხოს სხვადასხვა სასწავლო სფეროს ერთი თემის გარშემო გაერთიანება. ამ შემთხვევაში კი დაკმაყოფილდება როგორც მოსწავლეთა ინტერესები, ისე სასწავლო პროგრამის მოთხოვნებიც. მოსწავლეებმა სწავლის ამ ფორმით დამოუკიდებლად უნდა დაამუშაონ მათთვის სასურველი თემები და საკითხები და საბოლოოდ უნდა შეეძლოთ ნასწავლი მასალის პრაქტიკაში თავისუფლად გამოყენება, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს არსებულ თემაზე საკუთარი აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი უცხო ენაზე.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა პროექტებით სწავლების საშუალებით საჭირო ენობრივი უნარები გამოიმუშაონ და შესაბამისად ენა პრაქტიკაში გამოიყენონ მნიშვნელოვანია, რომ პროექტებით სწავლების მეთოდი გავხადოთ ინტერდისციპლინირებული, რათა მათ გაუფართოვდეთ ენის შესწავლის არეალი, გაიღრმაონ უცხო ენაში მიღებული ცოდნა და უკეთ შეძლონ ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება და დახვეწა. საბოლოოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოცემული პროექტეების შეტანა სასწავლო გეგმებში, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში ხელს შეუწყობს არა მხოლოდ უცხო ენის უკეთ შესწავლას არამედ ინტერდისციპლინარული სწავლების მეტი ინტენსივობით დამკვიდრებასაც, რაც გაზრდის მოსწავლეთა მხრიდან უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენებას მეტად მრავალფეროვანს და შემოქმედებითს.

ეროვნული სასწავლო გეგმის უცხო ენის სწავლების პრიორიტეტული მიზნებიდან ერთ-ერთია მოსწავლეებში სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარის განვითარება. პროექტების გამოყენება კი ინგლისური ენის სწავლებისას მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ინტერნეტის საშუალებით ინგლისურენოვან მოსწავლეებთან კონტაქტის დამყარებას, რაც ენის პრაქტიკაში გამოყენების შესანიშნავი საშუალებაა. მსგავსი პროექტების განხორციელებით მოსწავლეები გაეცნობიან სხვა

ქვეყნის კულტურას და შემდეგ უცხო ქვეყნის მოსწავლეებს გააცნობენ საკუთარი სამშობლოს კულტურას.

პროექტების გამოყენება შესანიშნავი საშუალებაა მოსწავლეთათვის ,რომ ისინი ასევე მოემზადონ თანამოღვაწეობისათვის სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენ-ტობის წარმომადგენლებთან, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად სახელდება .პროექტის პროცესში ისინი შეიძენენ უცხო ენაზე წერის უნარებს, რაც ენის პრაქტიკაში გამოყენების კიდევ ერთი კარგი საშუალებაა, რადგან ისინი სხვა ენობრივი იდენტობის წარმომადგენელთან კომუნიკაციით ითავისებენ და პრაქტიკაში იყენებენ სხვადასხვა ენობრივ ასპექტებს.

აქედან გამომდინარე, ოცდამეერთე საუკუნის დაწყებითი საფეხურის ინგლი-სური ენის მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მოსწავლეთა ინტერესების სტიმულირება და შეაყვაროს მათ ენის სწავლის პროცესი. ამის მიღწევა კი შესაძლებელია სწორად დაგეგმილი სასწავლო პროექტებით, რომელთა უპირველესი მიზანი უნდა იყოს ინგლისური ენის პრაქტიკში გამოყენება. ეს ყოველივე კი მოსწავლეებს ხდის მოტივირებულს და გაკვეთილზე ჩართულს.

კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის **მიზანია** პროექტების საშუალებით ინგლისური ენის პრაქტიკაში გამოყენების კვლევა ინგლისური სწავლების დაწყებით საფეხურზე(V-VI კლასები). დავისახეთ შემდეგი **ჰიპოთეზის** შემოწმება-დამტკიცება: ინგლისური ენის მასწავლებლებს დადებითი დამოკიდებულება გააჩნიათ პროექტებით სწავლებაზე, თუმცა პროექტის შედეგები ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც გულისხმობს ენის პრაქტიკაში გამოყენებას. აქედან გამომდინარე დავსახეთ **კვლევის ამოცანები:**

- პროექტებით სწავლების მნიშვნელობის განსაზღვრა ენის პრაქტიკული გამოყენებისათვის ინგლისური ენის სწავლების დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასები) ;
- ენის პრაქტიკული გამოყენებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრა პროექტების მიმდინარეობის პროცესში;
- ინგლისური ენის მასწავლებელთა დამოკიდებულების გარკვევა პროექტების განხორციელებაზე ენის პრაქტიკაში გამოყენებისათვის;
- არსებული სირთულეების დადგენა პროექტებით სწავლების პროცესში.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ:

თვისებრივი კვლევის მეთოდი:

- დაკვირვება;
- ჩაღრმავებული ინტერვიუ ინგლისური ენის ექსპერტ-კონსულტანტთან.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი:

- კითხვარი და ინტერვიუ ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საჯარო და კერძო სკოლების დაწყებითი საფეხურის (V-VIკლასები) ინგლისური ენის მასწავლებლები.

კვლევის შეზღუდვა: კვლევა ტარდება მხოლოდ თბილისის კერძო და საჯარო სკოლებში

კვლევის პირველი ეტაპი - წინამდებარე ნაშრომის I და II თავები ასახავს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საკითხთა თეორიულ მიმოხილვას, რაც განხორციელდა მოძიებული ლიტერატურის საფუძველზე.

კვლევის მეორე ეტაპი - თემაში განხილული საკითხებიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა რაოდენობრივი კვლევა, შევადგინეთ ღია და დახურული შეკითხვებისაგან სტრუქტურირებული კითხვარი, ამასთანავე კვლევაში გამოვიყენე დაკვირვებაც, კერძოდ თბილისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში(შპს ,,აიბი-მთიები), სადაც ამჟამად ვმუშაობ და ერთ საჯარო სკოლაში ,კერძოდ ,,სსიპ ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლა'', ვაკვირდებოდი სასწავლო პროექტების მიმდინარეობის პროცესს დაკვირვების ფურცის მიხედვით (იხ.დანართი N1).

ყველაზე მეტად მაინტერესებდა რამდენად იყო ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და წარმართული პროექტები მიმართული და ორიენტირებული ენის პრაქტიკული გამოყენებისაკენ, იყო თუ არა მათ მიერ დაგეგმილი ყველა აქტივობა ისე გაწერილი, რომ მოსწავლეებს ენის პრაქტიკაში გამოყენების მაქსიმალური შესაძლებლობა ჰქონოდათ, ასევე იყო თუ რა მათი პროექტების საბოლოო პროდუქტი ინგლისური ენის პრაქტიკაში გამოყენება . პროექტის მსვლელობაზე დაკვირვებების, ამასთანავე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვი-უებისა და გამოკითხვების შედეგად მიღებული შედეგები დაგვეხმარა გაგვერკვია და ნათლად წარმოგვეჩინა დღევანდელ საჯარო და კერძო სკოლებში არსებული დამოკიდებულება პროექტებით სწავლებაზე ენის პრაქტიკული გამოყენებისთვის .

კვლევის მესამე ეტაპი- კვლევა ჩავატარეთ თბილისის მასშტაბით ხუთ (5) და რეგიონის მასშტაბით ერთ (1) სკოლაში, საიდანაც სამი (3) კერძო და სამი საჯარო სკოლა იყო. შერჩევა იყო მიზნობრივი, ერთ-ერთ სკოლაში თავად ვმუშაობ, ხოლო დანარჩენ სკოლებში ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე მივედი.

აღნიშნული სკოლებიდან ოცდახუთი (25) მასწავლებელი დაგვთანხმდა კითხვარების შევსებაზე, ხოლო ათი (10) მასწავლებელი ინტერვიუზე .

კვლევის მეოთხე ეტაპი -კვლევის მეოთხე ეტაპზე მოხდა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი, რასაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

დაწყებითი საფეხურის(V-VI კლასების) ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის განკუთვნილი კითხვარი (იხ. დანართი N2) შედგებოდა ხუთი (5) ნაწილისგან (სულ 20კითხვა):

1) ზოგადი ინფორმაცია;
2) განათლება და პროფესიული განვითარება;
3) სასწავლო პროექტის დაგეგმვის და მიმდინარეობის პროცესი;
4) ინგლისური ენის პრაქტიკაში გამოყენება;
5) პროექტის შედეგები.

უპირველეს ყოვლისა გავეცნოთ ზოგად ინფორმაციას მასწავლებლების შესახებ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ოცდახუთმა მასწავლებელმა (25). აქედან 23 მდედრობითი და ორი მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რაც პროცენტულად ასე გამოიყურება:

დიაგრამა N1



ასაკობრივად, გამოკითხული ინგლისური ენის მასწავლებელთა უმრავლესობა 12 მასწავლებელი 31- დან - 35 წლამდეა, ხოლო მათგან ექვსი მასწავლებელი 26-დან-30 წლამდეა, ხუთი მასწავლებელი 36-დან - 40 წლამდეა. ერთი მასწავლებელი 21-დან -25 წლამდეა, ერთი კი 51-დან 55 წლამდე. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინგლისური ენის მასწავლებელთა საშუალო ასაკი 26 დან-40 წლამდეა.

დიაგრამა N 2



დიაგრამა N3

გამოკითხულ მასწავლებელთა 60 % საჯარო სკოლაში ასწავლის , ხოლო 40 % კი კერძო სკოლაში .



სკოლაში გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობას 12 მასწავლებელს მუშაობის 1-დან 10 წლამდე მუშაობის გამოცდილება აქვს და მაქსიმუმ 30 წლამდე. მიუხედავად ამ გამოცდილებისა, ყველა მასწავლებელი რა თქმა უნდა ინდივიდუალურია და ყველა თავისებურად წარმართავს სწავლა- სწავლების პროცესს. წლებთან ერთად მათ ემატებათ გამოცდილება, უფრო ადვილად აკეთებენ დასკვნებს, რომელი მეთოდი, რომელი აქტივობა უფრო ეფექტური და რა შედეგის მომტანი იქნება მოსწავლეებისთვის.

დიაგრამა N 4



გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობას 16 მასწავლებელს მაგისტრის ხარისხი აქვთ,ხოლო დანარჩენებს ბაკალავრის ხარისხი. დოქტორის ხარისხი არცერთ გამოკითხულ მასწავლებელს არ აღმოაჩნდა. რასაკვირველია, მაგისტრის ხარისხი მიუთითებს, რომ მათ უფრო მეტი ცოდნა გააჩნიათ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ვერ განსაზღვრავს მასწავლებლის ცოდნას. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ პედაგოგი მუშაობდეს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ხარისხის მიღება არ უნდა იყოს მისი ერთადერთი მიზანი. დღესდღეობით ვითარდება ტექნოლოგიები, იხვეწება მეთოდები, ასევე ამ ყველაფერთან ერთად ხელმისაწვდომია უამრავი რესურსი და ამ ყველაფერს მასწავლებელმა ფეხი უნდა აუწყოს და გამოიყენოს სწავლების პროცესში.

დიაგრამა N5



გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა 16 მასწავლებელი პედაგოგთათვის მისანიჭებელი სტატუსებიდან უფროსი მასწავლებლის სტატუსს ფლობს დანარჩენი კი პრაქტიკოსი მასწავლებლები არიან. ჩემს მიერ პროექტზე დაკვირვებამ და ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უფროსი მასწავლებლების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროექტები გაცილებით ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებულია, რასაც ვერ ვიტყვით პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ წარმართულ პროექტზე. ასევე პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ განხორციელებული პროექტების მთავარი მიზანი ხშირად მხოლოდ საჩვენებელი გაკვეთილებია, თავიანთი სტატუსის ასამაღლებლად. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სტატუსი განსაზღვრავს პედაგოგთა მხრიდან სასწავლო პროექტების განხორციელების ხარისხს. ვფიქრობ, რომ მთავარი და მნიშვნელოვანია პედაგოგის დამოკიდებულება სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის მიმართ. მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროექტების მთავარი პროდუქტი უნდა ეფუძნებოდეს შესწავლილი თეორიულისაკითხების პრაქტიკაში გამოყენებას .

დიაგრამა N6



გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა 68 % არ გადის პროფესიული განვითარების კუთხით ტრენინგებს , რომელიც პროექტებზე დაფუძნებულ სწავლებას გულისხმობს, ხოლო დანარჩენი 32 % გადის ტრენინგებს. ის მასწავლებლები, რომლებიც გადიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულ ტრენინგებს გაცილებით ხშირად ახორციელებენ პროექტებს სასწავლო პროცესში და მათი თითქმის ყველა პროექტი გადის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებზე , ასევე ეხმიანება ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნებს. ამ პედაგოგებს გათავისებული აქვთ პროექტებით სწავლების არსი და მთავარი დანიშნულება - მოსწავლეებს შეეძლიათ საკუთარი შეხედულებებისა და ინტერესების არგუმენტირებულად დასაბუთება, კრიტიკული მსჯელობა , საკითხის შეფასება და დასკვნების გამოტანა , შესაბამისად გამოიყენონ ენა პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე შიძლება დავასკვნათ, პროფესიული კუთხით ტრენინგების გავლა და მონაწილეობის მიღება ძალზე მნიშვნელოვნია სასწავლო პროექტების წარმატებით წარმართვაში.

დიაგრამა N7



გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა 21 მასწავლებელი ახორციელებს პროექტებს თავიანთ სასწავლო გეგმებში დანარჩენი 4 მასწავლებელი არ იყენებს , რადგან ისინი ასახელებენ სხვადასხვა სირთულეებს, რაც პროექტის მსვლელობის პროცესში ვლინდება. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ ინგლისური ენის მასწავლებლებს დადებითი დაოკიდებულება გააჩნიათ პროექტებით სწავლებაზე და შესაბამისად ახორციელებენ სასწავლო პროცესში.

დიაგრამა N 8



ინგლისური ენის მასწავლებელთათვის განკუთვნილ კითხვარში მესამე ნაწილი ეთმობა **სასწავლო პროექტების დაგეგმვისა და მიმდინარეობის პროცესს** , აქვე განვიხილავ მიღებულ შედეგებს:

დიაგრამა N 9



გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა 18 მასწავლებელი არ გეგმავს სასწავლო პროექტებს მოსწავლეებთან ერთად, დანარჩენ 7 მასწავლებელს ურჩევნია დაგეგმოს და განახორციელოს პროექტები საკუთარ მოსწავლეებთან ერთად. მნიშვნელოვანია, რომ პროექტების დაგეგმვა ხდებოდეს მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და დამოკიდებულებები პროექტის თემასთან დაკავშირებით. ის მასწავლებლები, რომლებიც არ გეგმავენ პროექტებს მოსწავლეებთან ერთად ხშირად ვერ აღწევენ დადებით შედეგებს, მოსწავლეები არ არიან მოტივირებულები და ჩართულები პროექტის მსვლელობის პროცესში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა ჩართულობისა და დაინტერესებისათვის მნიშვნელოვანია, პროექტების მათთან ერთობლივი დაგეგმვა.

1.დაასახელეთ რომელი ენობრივი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული თქვენს მიერ დაგეგმილი პროექტები:

გამოკითხულთა შედეგებმა აჩვენა, რომ სასწავლო პროექტის პროცესში მასწავლებლები სხვადასხვა ენობრივი უნარების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ, თუმცა ყველა ენობრივ უნარ-ჩვევას არ ექცევა სათანადო ყურადღება. შედეგების მიხედვით პირველ ადგილზეა ზეპირი კომუნიკაცია და სხვადასხვა სიტუაციაში ინგლისური ენის გამოყენების უნარი. გამოკითხვის და ინტერვიუების მიხედვით გაირკვა, რომ შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა მსჯელობის და დასკვნების გამოტანის უნარის განვითარებას მოსწავლეებში, ასევე წერითი უნარების განვითარებას. ვფიქრობ, ეს შედეგი გამომდინარეობს მასწავლებლების მხრიდან სასწავლო პროექტების და აქტივობების არასწორად დაგეგმვაში და განხორციელებში. ისინი ხშირად მზა მასალას აწვდიან მოსწავლეებს და ავალებენ დაისწავლონ თეორიულად და შემდეგ წარადგინონ პრეზენტაციის სახით. მოსწავლეებს ნაკლებად უხდებათ ინფორმაციის მოპოვება და შემდეგ ამ ინფორმაციის ანალიზი და დასკვნების გაკეთება, რაც ძალზე მნიშელოვანია პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ენობრივი უნარ-ჩვევის განვითარება თანაბრად მნიშვნელოვანია სასწავლო პროექტის ფარგლებში და შესაბამისად მოსწავლეებს უნდა მივანიჭოთ მეტი ავტონომიურობა რათა ენის პრაქტიკაში გამოყენების მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცეთ .

2. გთხოვთ, დაასახელეთ რა სახის დავალებების შესრულება უწევთ მოსწავლეებს პროექტის მიმდინარეობის პროცესში ?

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებმა, პროექტის პროცესზე დაკვირვებამ და ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები აქტიურად ასრულებენ სხვადასხვა სახის დავალებებს პროექტის მიმდინარეობის პროცესში. დაკვირვებამ აჩვენა, რომ მასწავლებლების მიერ გათვალისწინებული იყო აქტივობები განსხვავებული ინტერესის მქონე მოსწავლეთათვის, რაც მისასალმებელია. მოსწავლეები საკუთარი სურვილით ირჩევდნენ მათ როლებს. გამოკითხული მასწავლებლები ასახელებენ შემდეგი სახის

დავალებებს: ინფორმაციის მოძიება, პროექტისათვის საჭირო რესურსების შექმნა, პრეზენტაციისათვის მომზადება. მოსწავლებელთა ძალიან მცირე ნაწილი აღნიშნავს ინტერვიუს უცხოელებთან, რაც ვფიქრობ გამოსასწორებელია და პროექტის ერთ-ერთი ნაკლია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტის მსვლელობისას მოსწავლეებმა თავად უნდა შეარჩიონ დავალებები, რომლებიც მათ ინტერესებზე იქნება მორგებული, რაც მოსწავლეთა მეტ ჩართულობას გულისხმობს. ამასთანავე მოსწავლეებმა ისეთი დავალებები უნდა შეასრულონ ,სადაც ინგლისურ ენას მეტად გამოიყენებენ პრაქტიკაში.

3. გთხოვთ დაასახელოთ , როგორ არჩევთ სასწავლო პროექტის თემას:

ამ კითხვით მსურდა დამედგინა, რის მიხედვით არჩევენ მასწავლებლები სასწავლო პროექტის თემას, რას ეფუძნება მათ მიერ შერჩეული პროექტებიის შინაარსი. გამოკითხულ ინგლისური ენის მასწავლებელთა უმრავლესობა პროექტის თემას არჩევს სახელმძღვანელოში არსებული პროექტების მიხედვით, რაც ხშირად არ შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს. ჩემს მიერ პროექტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მასწავლებლების მიერ შერჩეული და შეთავაზებული პროექტის თემები ხშირად არ ემთხვეოდა მოსწავლეთა ინტერესებს, რაც იწვევდა მათ პასიურობას პროექტის მიმდინარეობისას, ისინი არ იყვნენ აქტიურები და არ ასრულებდნენ მასწავლებლის მიერ მითითებულ ინსტრუქციებს .

4. გეგმავთ თუ არა ინტეგრირებულ პროექტებს ?

ჩემს მიერ გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა 19 მასწავლეებლი იშვიათად გეგმავს ინტეგრირებულ პროექტებს სასწავლო პროცესში. ისინი ძირითადად ახორციელებენ მხოლოდ ინგლისურ ენაზე ორიენტირებულ პროექტებს . ამის მიზეზად ისინი ასახელებენ სირთულეებს, რაც დაკავშირებულია ინტეგრირებული პროექტის

დაგეგმვასთან და წარმართვასთან.

5. არიან თუ არა მშობლები ჩართულები სასწავლო პროექტებში ? თუ დიახ , რა კუთხით იღებენ ისინი მონაწილეობას?

ამ კითხვით მსურდა დამედგინა, რთავენ თუ არა ინგლისური ენის მასწავლებლები მშობლებს პროექტებში. ასევე საინტერესოა, რა კუთხით არიან ისინი ჩართულები ამ პროცესში. გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა რთავს მშობლებს სასწავლო პროექტებში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობელთა ჩართულობა ხდება არასწორად, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის პროექტის სწორად და ხარისხიანად წარმართვას.

ჩემს მიერ წარმართულ ინტერვიუში ინგლისური ენის ექსპერტ-კონსულტანტთან ქალბატონ ნონა პოპიაშვილთან დასმულ შეკითხვაზე საჭიროა თუ არა მშობელთა ჩართულობა პროექტის მსვლელობისას დადებითი პასუხი მივიღე. პროექტზე დაფუძნებული სწავლების ექსპერტი მიიჩნევს, რომ მშობელთა ჩართულობა აუცილებელია თუმცა შეზღუდული რაოდენობით, მათ შეიძლება მხოლოდ ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიონ შვილებს, უნდა ჩანდეს მათი მხარდაჭერა პროექტის ყველა ეტაპზე. მასწავლებლები უნდა გრძნობდნენ, რომ მშობლები მხარს უჭერენ მათ იდეებს თუმცა ისინი არ უნდა ერეოდნენ ზედმეტად პროექტის მსვლელობის პროცესში. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, მშობელთა მსგავსი სწორი ჩართულობით ეფექტურ შედეგებს მივიღებთ. მათი გააქტიურება და პროექტის წარმართვის პროცესში სწორი, ზომიერი ჩართულობა ერთი მხრივ, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და ამასთანავე, აჩვევს მშობლებს შვილებთან თანამშრომლობას. სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წარმატებისთვის. როგორი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსიც არ უნდა ჰქონდეს ოჯახს, მშობლის მონაწილეობა შვილის განათლების პროცესში დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე. მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებაზეც. სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიურობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. ამდენად, უკეთესი

შედეგების მისაღწევად სკოლა და მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით. მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებზე, მშობლებსა და მოსწავლეებზე.

6. გთხოვთ, დაასახელოთ ფაქტორები, რაც უარყოფითად მოქმედებს სასწავლო პროექტზე:

ამ კითხვით გვსურდა დაგვედგინა თუ რა სირთულეებს აწყდებიან ინგლისური ენის მასწავლებლები პროექტების წარმართვის პროცესში. საინტერესოა აისახება თუ არა ეს სირთულეები სასწავლო პროექტის საბოლოო შედეგებზე. გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ასახელებს შემდეგ სირთულეებს:

- მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრება;
- პროექტული სწავლების მეთოდის შესაბამისობა სასწავლო სტანდარტთან , ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და საკლასო სამუშაოების განრიგთან;
- სკოლის მატერიალური ბაზა;
- სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა ;
- ინტერნეტისა და ტექნოლოგიების არ ქონა ;
- მშობელთა ჩართულობა.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად მასწავლებელთა მონდომებისა და მცდელობისა წარმართონ პროექტები ინგლისური ენის გაკვეთილზე, ისინი მაინც აწყდებიან გარკვეულ სირთულეებს , რაც საბოლოოდ პროექტის შედეგებზე აისახება. შედეგად ვიღებთ ისეთ პროექტებს,რომლებიც ვერ აღწევენ პირველად მიზანს რაც არის -ენის პრაქტიკული გამოყენება .

კითხვარის მომდევნო ნაწილი მოიცავდა მოსწავლეების მიერ **ენის პრაქტიკულ გამოყენებასთან** დაკავშირებულ კითხვებს. ქვემოთ განვიხილავ მიღებულ შედეგებს:

7. რომელ აქტივობებს სთავაზობთ მოსწავლეებს იმისათვის რომ ენის პრაქტიკული გამოყენების მაქსიმალური შესაძლებლობა მისცეთ ?

გამოკითხული მასწავლებლების უმრავლესობა ასახელებენ შემდეგ აქტივობებს: პროექტის ძირითადი თემის ამსახველი ვიდეოებისა და ფილმების ნახვა , პოსტერების დამზადება, კითხვარების შედგენა და გავრცელება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი აქტივობებით ვერ მიიღწევა მთავარი შედეგი - ენის პრაქტიკაში გამოყენება. გამოკითხულ მასწავლებელთაგან ძალიან მცირე რაოდენობა დაახლოებით ათი მასწავლებელი 25 - იდან ასახელებს ისეთ აქტივობებს როგორიცა არის ინტერვიუს წარმართვა ექსპერტებთან და უცხოელებთან, გასვლითი ღონისძიებები ინგლისურენოვან ტურისტებთან ერთად, ლიტერატურული ნაწარმოებების ,ფილმების და ვიდეოების განხილვა და შემდგომ მათი ანალიზი, მოსწავლეების მიერ საკუთარი თვალთახედვის დაფიქსირება.

ჩემს მიერ წარმართულმა დაკვირვებამ სკოლებში ასევე ცხადყო, რომ მასწავლებლების მიერ შეთავაზებული აქტივობები ვერ უზრუნველყოფს საფუძვლიანად მოსწავლეთა მიერ ენის პრაქტიკაში გამოყენებას.

8. უწევთ თუ არა მოსწავლეებს თანატოლ უცხოელებთან კომუნიკაცია პროექტების მსვლელობისას ?

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პროექტის მსვლელობისას მოსწავლეებს ნაკლებად უწევთ თანატოლ უცხოელებთან კომუნიკაცია. ჩემი კვლევის პროცესში გამოკითხული მასწავლებლების მიერ გაწერილი პროექტების უმრავლესობა არ მოიაზრებდა მოსწავლეების თანატოლ უცხოელებთან შეხვედრას და მათთან კომუნიკაციას. მოსწავლეებს მოსწონთ უცხოელი მეგობრების შეძენა, მათი გაცნობა და მათთან საუბარი. ამის შედეგად ისინი იძენენ ახალ უნარებს და პრაქტიკაში იყენებენ ნასწავლს.ამიტომ მასწავლებლემბა ამ საკითხს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ.

9. ძირითადად რა სახის პროექტებს ახორციელებენ მოსწავლეები? უკავშირდება თუ არა ამ პროექტების საბოლოო პროდუქტი ენის პრაქტიკულ გამოყენებას ?

მასწავლებელთა გამოკითხვებმა და მათთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი ძირითადად ახორციელებენ ისეთ პროექტებს, სადაც ექნებათ საჩვენებელი პროდუქტი, მაგალითად მოსწავლეების მიერ დარგული ხეები სკოლის ეზოში, ილუსტრირებული ალბომი, მუყაოსაგან დამზადებული ტელევიზორები, ფერად ბუშტებზე დაწერილი მისალოცი ტექსტები და სხვა. ვფიქრობ, ისინი ნაკლებად აკავშირებენ ერთმანეთთან პროექტებით სწავლებას და ენის პრაქტიკულ გამოყენებას. მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები ნაკლებად მოიაზრებს მოსწავლეების მხრიდან ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებას, მსჯელობას და კრიტიკულ აზროვნებაც რაც 21-ე საუკუნის განათლების მთავარი გამოწვევაა. გამოკითხულ მასწავლებელთაგან მხოლოდ რამდენიმე ახორციელებს ისეთ პროექტებს, როგორიც არის სპექტაკლის დადგმა, პროექტებს, რომლებიც გულისხმობს უცხოელ ტურისტებთან ან უცხოელ თანატოლებთან ურთიერთიერთობასა და კომუნიკაციას, ლიტერატურული საღამოების წარმართვას ინგლისურ ენაზე და სხვა. მსგავსი პროექტებით მოხდება მოსწავლეთა ენობრივი უნარების განვითარება , რაც შესანიშნავი საშუალებაა ენის პრაქტიკული გამოყენებისათვის.

კითხვარის შემდეგი ნაწილი მოიცავდა **სასწავლო პროექტის შედეგებს.** განვიხილავ მიღებულ მონაცემებს:

10. როგორ აფასებთ მოსწავლეთა შედეგებს პროექტის ბოლოს?

ეს შეკითხვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პროექტის შედეგების შეფასებისას მოსწავლეები ხდებიან მეტად დაინტერესებულები და მოტივირებულები. გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა იყენებს შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების შეფასებისას. რაც ყველაზე მნივნელოვანია ისინი ფოკუსირებულები არიან მოსწავლეთა უნარჩვევების შეფასებაზე, ვიდრე თეორიული ცოდნის. მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ მოსწავლეთა თვით შფასებას, რაც ვფიქრობ ნაკლია პროექტის შედეგების ზუსტად

გაზომვაში. სასწავლო პროექტების შედეგიანობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეები მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების პროცესებში და რამდენად ეფექტიანად იყენებენ პროექტის მონაწილეები პროექტის გაფორმების, მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების სქემებს. პროექტის მიმდინარეობისას სასურველია, მოხდეს მისი შუალედური შეფასება/მონიტორინგი, რასაც ჩვენი მასწავლებლები ნაკლებად მიმართავენ. შუალედური მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება კი პროექტის დახვეწას უწყობს ხელს.

11. პროექტის დასრულების შემდეგ შეუძლიათ თუ არა თქვენს მოსწავლეებს პრაქტიკაში გამოიყენონ ნასწავლი ?

გამოკითხულ მასწავლებელთა ნახევარი თვლის, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკაში გამოიყენონ ნასწავლი ლექსიკურ-ენობრივი ერთეულები, გრამატიკული სტრუქტურები და სხვა . თუმცა მასწავლეებლთა მეორე ნახევარს მიაჩნია, რომ ისინი ამას ნაწილობრივ ახერხებენ. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ შემდეგ სირთულეებს: ზოგიერთი მოსწავლის დაბალ აკადემიურ მოსწრებას და შესაბამისად მათ პასიურობას პროექტის მიმდინარეობის პროცესში. ამ შემთხვევში ვფიქრობ, შესაძლებელია გამოსავლის მოძებნა, მასწავლებელმა შესაბამისი აქტივობები და დავალებები უნდა შეურჩიოს დაბალი აკდემიური მოსწრების მოსწავლეებს. მან უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები და შეეცადოს გაუწიოს მათ ნებისმიერი სახის დახმარება პროექტის მიმდინარეობის პროცესში. მეორე მიზეზია მოსწავლეთა პასიურობა , პროექტის მსვლელობაზე დაკვირვებისას გამოჩნდა, რომ ყველა მოსწავლე არ იყო აქტიურად ჩართული აქტივობებში , რაც მათი მხრიდან ნაკლები დაინტერესებით გამოიხატებოდა პროექტის თემაზე. ეს ყოველივე გამომდინარეობდა მასწავლებელთა მხრიდან არასწორი თემის შერჩევასა და აქტივობების არასწორად გადანაწილებაზე. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია პირველ რიგში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება და ზრუნვა მათ მაქსიმალურ ჩართულობაზე პროექტის მიმდინარეობის პროცესში.

ჩაღრმავებული ინტერვიუ ინგლისური ენის ექსპერტ-კონსულტანტთან

ჩემი კვლევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ჩაღრმავებული ინტერვიუ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინგლისური ენის ექსპერტ-კონსულტანტთან, ქალბატონ ნონა პოპიაშვილთან. ვფიქრობ,მასთან წარმართულმა ინტერვიუმ ნაყოფიერად ჩაიარა და მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი და საჭირო აღმოჩნდა ჩემი კვლევისათვის.

მიმდინარე წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლების ,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბრიტანეთის საკონსულოს ურთიერთთანამშრომლობის შედეგად განხორციელდა ახალი ინიციატივა ,რომელიც მიზნად ისახავდა ინგლისური ენის მასწავლებელთა ისეთი უნარების განვითარებას ,რომელთა დახმარებითაც მასწავლებლები შეძლებდნენ პროექტზე დაფუძნებული სწავლების დაგეგმვასა და დანერგვას სასწავლო პროცესში. ეს ინიციატივა წარმოადგენს ბრიტანეთის საბჭოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის 2015-2017 წლებში წარმატებული პარტნიორობის გაგრძელებას.პროექტის მნიშვნელოვანი ამოცანა იყო მოსწავლეთა ინგლისური ენის კომპეტენციის ასევე, 21-ე საუკუნის უნარების განვითარება ინგლისური ენის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების გზით.

ექსპერტ-კონსულტანტის მოსაზრებით პროექტებით სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე 2018 წელს გაჩნდა ინიციატივა, რომ მასწავლებლის სახლს დაეწყო ახალი მიმართულებით მუშაობა ,რომელიც გულისხმობდა პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას ინგლისური ენის გაკვეთილზე. ეს ინიციატივა გამომდინარეობს მსოფლიოში არსებული მიმდინარე ცვლილებებიდან, როდესაც უკვე სწავლა - სწავლება სცილდება ერთი დისციპლინის ფარგლებ, აქედან გამომდინარე მისი აზრით ამ პროცესებს უფრო კომპლექსურად უნდა შევხედოთ. ექსპერტის მოსაზრებით ინგლისური ენის გაკვეთილი ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე კონტექსტია, რომ მოხდეს

გლობალური საკითხების/პრობლემების მიწოდება მოსწავლეებისათვის და ამასთანავე 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება.

ინიციატივის ფარგლებში მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და ბრიტანეთის საკონსულომ ინგლისური ენის მასწავლებლებს შესთავაზეს პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც ჩვენს სივრცეში ჯერ-ჯერობით ახალია. ექსპერტ-კონსულტანტის ინფორმაციით მასწავლებლები ახორციელებენ პროექტებს, თუმცა არასწორად. მასწავლებლის სახლის კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც ჩატარდა ტრენინგების შემდგომ გამოიკვეთა ბევრი ხარვეზი ,რასაც ადგილი აქვს პროექტების წარმართვის პროცესში ინგლისური ენის გაკვეთილზე. ინიციატივის ფარგლებში ტრენინგი ჩაუტარდა საქართველოს მასშტაბით 625 მასწავლებელს, ასევე გამოიცა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. ქალბატონი ნონას მოსაზრებით წინსვლა ამ მიმართულებით ჩანს, ის თვლის, რომ მასწავლებლებმა ნაწილობრივ გაიგეს პროექტზე დაფუძნებული სწავლების არსი ტრენინგების შედეგად, თუმცა ეს საკმარისი არ არის და ამ მიმართულებით მუშაობას გააგრძელებენ.

დასკვნები

როგორც თეორიული ნაწილის განხილვის შემდეგ გამოიკვეთა მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებმა, ინგლისური ენის გავრცელების დინამიკამ, საქართველოს საერთაშორისო კონტაქტებმა სხვადასხვა სფეროებში განაპირობა ინგლისური ენის შესწავლის დაწყება დაწყებითი საფეხურიდანვე. აშკარაა, რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისურ ენას დღევანდელ მსოფლიოში.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის სწავლების სამივე საფეხურზე საკანონმდებლო დონეზეა გაწერილი პროექტებით სწავლება და მათ შორის დაწყებით საფეხურზე, რადგან მის გარეშე ვფიქრობ, რთული იქნება მიმდინარე გამოწვევებისათვის ფეხის აწყობა და 21 -ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში. ინგლისური ენის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენის პრაქტიკაში გამოყენებას და პროექტებით სწავლებას. თანამედროვე განათლების პირობებში კი ვფიქრობ, ეს ორი ასპექტი სრულიად უნდა შეესაბამებოდეს და ავსებდეს ერთმანეთს .

სკოლებში ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურმა ჩემს მიერ დასახული ჰიპოთეზა, რომ ინგლისური ენის მასწავლებლებს დადებითი დამოკიდებულება გაჩნიათ პროექტებით სწავლებაზე, თუმცა პროექტით სწავლების შედეგად შესაძლოა ვერ იქნას მიღწეული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები, კერძოდ ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების უნარების განვითარება.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგად დადგინდა,რომ:

- ჩემს მიერ გამოკითხული ინგლისური ენის მასწავლებელთა საშუალო ასაკი 26 დან-40 წლამდეა. ეს შედეგი კი ვფიქრობ, მიუთითებს იმაზე, რომ მათი მეტი მოტივაცია და რესურსი გააჩნიათ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;
- გამოკითხულ ინგლისური ენის მასწავლებელთა უმრავლესობა - 68 % არ გადის პროფესიული განვითარების კუთხით ტრენინგებს, რომელიც პროექტებზე დაფუძნებულ სწავლებას გულისხმობს, შესაბამისად ისინი სასწავლო პროექტებს

ვერ ახორციელებენ ისეთი ხარისხით, რომ მოსწავლეებმა მოახერხონ ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგების შესაფერისად დაუფლება .

- ორივე საჯარო და კერძო სკოლაში გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა 16 მასწავლებელი 25 -იდან, ძირითადად იყენებენ სახელმძღვანელოებში მოცემულ პროექტების თემებს, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა მოსწავლეთა ინტერესებს და ვერ ავითარებს საჭირო უნარ-ჩვევებს მოსწავლეებში.
- პროექტებით სწავლებისას მასწავლებლები შემდეგი სახის სირთულეებს აწყდებიან,ესენია: მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრება, პროექტული სწავლების შეთანხმება საკლასო სამუშაოების განრიგთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ამასთანავე მეთოდის შესაბამისობა სასწავლო სტანდარტთან და სკოლის მატერიალურ ბაზასთან.
- მასწავლებლებს პროექტებით სწავლებაზე დადებითი დამოკიდებულება გააჩნიათ, გამოკითხულ მასწავლებელთაგან ყველა მათგანი თვლის, რომ პროექტების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას უმნიშვნელოვანესია.

  70 % მიიჩნევს, რომ დაწყებით საფეხურზე პროექტებით სწავლება მნიშვნელოვანია და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და თავდაჯერებულობას, ხოლო დანარჩენი 30% - ის აზრით, დაწყებით საფეხურზე პროექტების გამოყენება სასწავლო პროცესში არც ისე მნიშვნელოვნია და ვერ გადიან საბოლოოდ მისაღწევ შედეგებზე. მათ ურჩევნიათ, ამ საჭირო უნარ-ჩვევებს სტანდარტული გაკვეთილის ფორმატში მიაღწიონ. ვფიქრობ, ეს შედეგი დადებითია და ამართლებს ჩემს ჰიპოთეზას, რომ ინგლისური ენის მასწავლებლებს დადებითი დამოკიდებულება გააჩნიათ პროექტების გამოყენებაზე.
- გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა 17 მასწავლებელი არ გეგმავს სასწავლო პროექტებს მოსწავლეებთან ერთად, ისინი გეგმავენ პროექტებს ხშირად კოლეგებთან ერთად მოსწავლეების ჩართვის გარეშე. დანარჩენ 8 მასწავლებელს ურჩევნია დაგეგმოს და განახორციელოს პროექტები საკუთარ მოსწავლეებთან ერთად ,რადგან ისინი თვლიან რომ მოსწავლეთა ჩართულობით გაცილებით საინტერესოდ და ხარისხიანად დაგეგმავენ სასწავლო პროექტს. ვფიქრობ , მნიშვნელოვანია, რომ პროექტების დაგეგმვა ხდებოდეს მოსწავლეებთან ერთად,

რადგან მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და დამოკიდებულებები პროექტის თემასთან დაკავშირებით.

- ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ ისინი ყველა საჭირო ენობრივ უნარ-ჩვევებს ავითარებენ ,თუმცა პროექტზე დაკვირვების შედეგად სრულიად სხვა სურათს გადავაწყდით.
- გამოკითხულ მასწავლებელთა პასუხების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ფაქტი: პროექტების მსვლელობისას მოსწავლეებს ნაკლებად უწევთ ისეთი აქტივობების განხორციელება, რაც საშუალებას მისცემს მათ ,ჰქონდეთ უცხოელებთან კომუნიკაცია. გამოკითხული მასწავლებლების მიერ გაწერილი პროექტების უმრავლესობა არ მოიაზრებდა მოსწავლეების თანატოლ უცხოელებთან კომუნიკაციას.
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ნაკლებად ახორციელებენ ისეთი სახის პროექტებს, რომლებიც განავითარებს 21 -ე საუკუნის უნარ-ჩვევებს, ესენია: კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა, საინფორმაციო წიგნიერება, მედიაწიგნიერება, ციფრული წიგნიერება .
- გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა იყენებს შეფასების რუბრიკებს პროექტის ბოლოს მოსწავლეების შეფასებისას, რაც ყველაზე მნივნელოვანია ისინი ფოკუსირებულები არიან მოსწავლეთან უნარ-ჩვევების შეფასებაზე , ვიდრე თეორიული ცოდნის. მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ მოსწავლეთა თვით შფასებას, რაც ვფიქრობ ნაკლია პროექტის შედეგების ზუსტად გაზომვაში. პროექტის მიმდინარეობისას სასურველია, მოხდეს მისი შუალედური შეფასება/მონიტორინგი, რასაც მასწავლებლები ნაკლებად მიმართავენ. შუალედური მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება კი საბოლოოდ პროექტის დახვეწას უწყობს ხელს.